„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 27.02.2023, სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.020796) პირველი მუხლის:
ა) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43^1–44^3, 44^5, 44^7–44^{11}, 45-ე–46-ე, 46^2–46^4, 46^7–46^{11}, 48-ე, 49-ე, 50^1, 51-ე–55^1, 55^3, 55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^3–მე-60, 60^3–61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^4, 69^6, 71-ე, 71^1, 72^1–77-ე, 78-ე და 79^1–79^3 მუხლებით, 79^4 მუხლით (გარდა ამ კოდექსის 79^4 მუხლის მე-2–მე-5 ნაწილებისა), 79^5–მე-80, 82^1–82^5, 84-ე–86-ე, 87^1–89^3, 91^2, 91^3, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^1, 100^2, 103^1, 104-ე და 105^1 მუხლებით, 115^2 მუხლის მე-3–მე-7 ნაწილებით, 116-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებით, 116^4 მუხლის მე-2 ნაწილით, 116^5 მუხლის მე-2 ნაწილით, 116^6 მუხლის მე-2 ნაწილით, 116^7 მუხლის მე-2 ნაწილით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 128^1–128^6, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე და 150-ე მუხლებით, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 153-ე და 153^1 მუხლებით, 153^3 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 153^5 მუხლით, 153^6 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 154-ე–154^2, 155^1 და 155^2 მუხლებით, 155^3 მუხლის მე-11–მე-20 ნაწილებით, 155^6 მუხლის მე-3–მე-5 ნაწილებით, 155^7–156-ე და 157^1–158^1 მუხლებით, 158^5 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 159^4, 159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^4, 165^1–165^3, 165^{12}–165^{23}, 166-ე და 166^1 მუხლებით, 166^2 მუხლის მე-2 ნაწილით, 170^1 მუხლით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^2–171^4 მუხლებით, 171^5 მუხლის პირველი, მე-2, მე-4–მე-6, მე-8 და მე-9–მე-18 ნაწილებით, 172-ე, 172^4–172^6, 173-ე, 173^4–173^7, 173^9 და 173^{14}–173^{16} მუხლებით, 174^1 მუხლის მე-4, მე-6 და მე-8–მე-10 ნაწილებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^1 და 175^2 მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177^8, 177^9, 177^{11} და 177^{12} მუხლებით, 177^{13} მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4^1 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში), 178-ე, 179^1–179^3, 181^6, 183-ე, 187-ე, 187^1, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^3, 196^6 და 197^1 მუხლებით, 197^3 მუხლის მე-2 ნაწილითა და 199^1 მუხლით, აგრეთვე საქმეებს ამ კოდექსის 208^1 მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში.“.“;

ბ) მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. 262-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 171-ე და 175^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილება 1 დღე-ღამის ვადაში, ამ კოდექსის 116-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებით, 142-ე და 154-ე მუხლებით, 174^1 მუხლის მე-4, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებითა და 174^2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები – 3 დღის ვადაში, ხოლო ამ კოდექსის 50^1, 51^1, 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 55^5, 55^6, 58^2, 59^2, 61-ე და მე-80 მუხლებით, 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებით, 88-ე, 91^2, 92^1, 94-ე, 95-ე, 96^1, 96^2, 96^4, 99-ე, 100^1, 100^2, 103-ე, 103^2 და 103^3 მუხლებით, 103^4 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 104-ე, 105^1, 107^1, 141-ე,

143-ე–144[1], 144[3]–144[5], 144[10], 145-ე, 146[1], 148-ე–150[1], 151[1], 152-ე, 152[2]–152[9], 153-ე, 154[1], 154[2], 156-ე–158[1], 159-ე, 163-ე, 164-ე, 165[12]–165[23], 166[1], 167-ე, 170-ე, 174-ე და 175-ე მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177[1] მუხლით, 177[13] მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4[1] ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში) და 179[1], 180-ე–183[1], 185-ე–185[2], 187-ე, 187[1], 189-ე, 192-ე, 195-ე, 196[3], 196[6] და 197[1] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები – 7 დღის ვადაში.“.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

10 დეკემბერი 2025 წ.

N1207-IVმს-XIმპ